

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №086/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა კოლეგის წინააღმდეგ. პირველი არხის ეთერში გასულ გადაცემაში, ადვოკატმა საჩივრის ავტორის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია უარყოფით კონტექსტში ახსენა და საჯაროდ გააკრიტიკა მისი საქმიანობის გამო. ადვოკატის თქმით, საჩივრის ავტორი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ხელისუფლებას „უპრავებს პროცესებს“. მიუხედავად, საჯარო გამონათქვამებით გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებისა ადვოკატს არ უხსენებია საჩივრის ავტორის სახელი და ამასთან, ორგანიზაციის სახელსაც არასრულყოფილად ასახელებდა. საპროცესო კოლეგიამ არ აღძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათი პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. ამასთან ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. საქართველოს კონსტიტუციის მე-19.3 და 24.4 მუხლები, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებასა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას, შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს.

გადაცემაში ადვოკატი აკრიტიკებს საჩივრის ავტორს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და თავად მის ორგანიზაციას. ადვოკატის პასუხი კითხვაზე - „შენ უფრო მაგარი ბიჭი ხარ?“ „კი ეგრე ვართ ზუსტად“ - არ არის უპატივცემულობის და ღირსების შემლახავი, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს გარკვეულ სფეროში, შესაძლოა თავი მიაჩნდეს სხვაზე უფრო კომპეტენტურად. ადვოკატს ეკრძალება მითითება სხვა ადვოკატზე ან მის მომსახურებაზე,

თუმცა, მოცემული ფრაზები წარმოთქმული იყო არა საადვოკატო მომსახურების შედარებისთვის, არამედ არასამთავრობო სექტორში მათი საქმიანობის წარმართვისა და მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, თუმცა „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც

¹ <https://www.gba.ge/pdf/5ce26a70b1709.pdf/086.18%20%2001.11.18%20ar%20agdvr.pdf>



მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე.

ვინაიდან ადვოკატის საუბარი შეიცავდა შეფასებით მსჯელობას საჩივრის ავტორის მიერ დაარსებულ ორგანიზაციასა და თავად საჩივრის ავტორზე, გადაცემაში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. ის მოსაზრების წარმოდგენით არ ისახავდა უპირატეს მიზნად საჩივრის ავტორის, პროფესიული ღირსების შელახვას. გარდა ამისა, თუ არსებობს ეჭვი, ზემოაღნიშნული ცნობა ფაქტია თუ მოსაზრება, ყოველგვარი ეჭვი მოსაზრებას და ფაქტს შორის, უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

დასკვნა

საქმეზე ვერ დგინდება ადვოკატის აპეკ-ის მე-7 მუხლის და მე-9.1 მუხლის დარღვევა და, შესაბამისად, ადვოკატის მიმართ არ იქნა აღძრული.